



ენათმეცნიერება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი,
სპეციალობით ფილოლოგია, სპეციალიზაციით ქართველური ენათმეცნიერება
კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელი: მანანა ტაბიძე, ტარიელ ფუტყარაძე
საკონტაქტო ნომერი: 577 71 78 11

თანამედროვე ტექნოლოგიებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე ორიენტირებულ ქართულ უნივერსიტეტში მოქმედი წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტმა შეისწავლოს:

1. ენის ტექნოლოგიების თანამედროვე გამოცდილება და აქტიური მონაწილეობა მიიღოს თანამედროვე საქართველოსათვის აქტუალური ამოცანის - ორენოვანი ავტომატური თარგმანების პროგრამის - მომზადებაში, რომელიც ითვალისწინებს მოცემულ სქემაში წარმოდგენილი ამოცანების გადაწყვეტას.

2. სხვადასხვა ავტორის ხედვის გათვალისწინებით ქართველურ ენა-კილოთა (სამწიგნობრო ენისა და ქართველური კილოების) ფონემატური სტრუქტურის, სახელური და ზმნური პარადიგმების, სინტაგმისა და წინადადების სტრუქტურის მოდელირების პრინციპები; ასევე, საერთოქართველურ და არქაულ სამწიგნობრო ენობრივ სისტემასთან ქართველური ტერიტორიული კილოების (მეგრულ-ლაზურის, სვანურის, ფხოურის...) და ქართული სამწიგნობრო ენის ისტორიული მიმართება; ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და ნორმალიზაციის ისტორია; ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზები.

3. კავკასიისა და საქართველოს ენობრივი სიტუაციის ისტორიული დინამიკა და თანამედროვე ენობრივი პოლიტიკა; საქართველოში და საქართველოს მეზობლად არსებული ენები (ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული, ქართულ-სპარსული, ქართულ-აფხაზური... ენობრივი ურთიერთობების კვლევის მიზნით).


მიღებული ცოდნა კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, სწავლა გააგრძელოს ენათმეცნიერების, ქართველოლოგია-კავკასიოლოგიის, ზოგადად, ფილოლოგიის (ჰუმანიტარული მეცნიერებების) მიმართულებით. მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები მას დაეხმარება მეცნიერული კვლევა-ძიება აწარმოოს ქართველოლოგიისა და ენათმეცნიერების სფეროებში; ასევე, ქართულ-სპარსული, ქართულ-სომხური, ქართულ-აფხაზური... ენობრივი ურთიერთობების კვლევის მიმართულებით, შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში რამდენიმე მიმართულების მიხედვით: ქართველური ენათმეცნიერება, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, კავკასიის არეალური ლინგვისტიკა, ქართველოლოგია-კავკასიოლოგია, შედარებითი ენათმეცნიერება, სოციოლინგვისტიკა, კულტუროლოგია, ქართულ-სპარსული, ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული, ქართულ-ჩრდილოკავკასიური... ენობრივი ურთიერთობების კვლევა და სხვ.

სტრუქტურა და სწავლის ხანგრძლივობა

წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანალებლო პროგრამის მიხედვით მაგისტრის მომზადების ნორმატიული ვადაა 2 წელი და მოიცავს 120 ECTS კრედიტს; კერძოდ:

სასწავლო კომპონენტი - 90 ECTS კრედიტი; მათ შორის:

ელექტრონული ტექსტის თარგმნა და მეტყველების სინთეზი



54 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო საგნები;

36 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსების მოდული. ამ სასწავლო კურსების სიაშია ენის/დიალექტის შემსწავლელი პრაქტიკული კურსებიც: სამეცნიერო ინტერესის მიხედვით 24 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ან ზანური და სვანური ზეპირი ქართველური ქვესისტემების პრაქტიკული კურსი, ან აფხაზურ ენა, ან ოსური ენა; ასევე, რომელიმე მეზობელი ხალხის ენა (თურქული, სომხური, სპარსული...).

სამეცნიერო კომპონენტი /სამაგისტრო ნაშრომი/ - 30 ECTS კრედიტი.

ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება მუშაობა:

- უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე;
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში;
- საქართველოს ნებისმიერ ბიბლიოთეკასა და არქივში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში;
- ენობრივი პოლიტიკის ექსპერტად;
- ქართული ენის სტილისტ-რედაქტორის თანამდებობაზე გამომცემლობაში, რედაქციასა და სხვა მსგავს დაწესებულებაში.

1. მიზანი:

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სტუდენტი აღჭურვოს ისეთი ცოდნით, რომელიც კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს, ჩამოაყალიბოს ახალი, ორიგინალური ხედვები და იდეები ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით. მიღებული საუნივერსიტეტო განათლება კურსდამთავრებულს გამოუმუშავებს ლინგვისტური კვლევა-ძიებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, მისცემს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების კომპეტენციას. პროგრამა ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი მაგისტრის მომზადებაზე, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური აკადემიური ცოდნა:

- ქართველთა სამწიგნობრო კულტურის ისტორიული დინამიკის შესახებ;
 - საერთოქართველურ და ქართულ სამწიგნობრო ენებთან ქართველური ტერიტორიული კილოების (მეგრულ-ლაზურის, სვანურის, ფხოურის...) ფონემატური და გრამატიკული სტრუქტურების მიმართებისა და ქართული სამწიგნობრო ენის დიალექტური ლექსიკით გამდიდრების შესახებ (ამ მიმართულებით გააზრებული ექნება ქართველური კილოური ჯგუფების - მეგრულ-ლაზურის, სვანურის, ფხოურის, ჰერულის, მესხურის, ფერეიდნულის, "ჩვენებურების ქართულის" და ცენტრალური კილოების - ლექსიკურ მონაცემთა მნიშვნელობა და როლი).
 - თეორიული ენათმეცნიერების, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების აქტუალური საკითხებისა და სოციოლინგვისტიკის თანამედროვე პრობლემების, ასევე, კავკასიის/საქართველოს ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი პოლიტიკის აქტუალური პრობლემების შესახებ; საქართველოში და საქართველოს მეზობლად არსებული ენების შესახებ (ენების არჩევის შემთხვევაში შეეძლება რომელიმე მათგანის გამოყენება ქართულთან შეპირისპირებითი კვლევის პროცესში/).
 - ენის ტექნოლოგიების თანამედროვე გამოწვევების შესახებ; კერძოდ, ქართული სამწიგნობრო ენის ფონემატური სტრუქტურის, სახელური და ზმნური პარადიგმების, წინადადების მოდელირების პრინციპების შესახებ;
 - ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების პრინციპებისა და ნორმალიზაციის ისტორიის შესახებ;
- წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მაგისტრანტს გამოუმუშავოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ლინგვისტი-ქართველოლოგის, ასევე, ან პრაქტიკოსი ფილოლოგ-ენათმეცნიერის უნარ-ჩვევები; კერძოდ, ჩამოაყალიბოს ისეთი მკვლევარი, რომელსაც ექნება ან ქართველური ენათმეცნიერების საფუძვლიანი, სისტემური ცოდნა და შეეძლება დარგის საკვანძო საკითხების კვლევა ენათმეცნიერების თანამედროვე მიდგომათა გათვალისწინებით.

2. სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ლინგვისტური ქართველოლოგიის მიმართულებით; შესაბამისად,

შეუძლია:

- I. ლინგვისტური ქართველოლოგიის დაგეგმვის სტრატეგიებზე, დარგის თანამედროვე გამოწვევებზე, ქართველთა ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პერსპექტივასთან დაკავშირებულ საკითხებზე აკადემიური მსჯელობა;
- II. ლინგვისტური ქართველოლოგიის სფეროში არსებული განსახვავებული სამეცნიერო თვალსაზრისების შეჯერება, სისტემატიზება, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული აკადემიური დასკვნების გამოტანა; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება; სხვათა კვლევების გათვალისწინებით თავისი კვლევის შედეგების წარდგენა აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა (პლაგიატისაგან თავის დაზღვევა) და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; თემატურ დებატებში მონაწილეობა პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.
- III. ქართველური ენათმეცნიერების, კავკასიური/პალეოკავკასიური ენების კვლევისა და ისტორიის სფეროებში არსებული ნაშრომების მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების შეფასება; საკუთარი დამოკიდებულების გამომუშავება და წვლილის შეტანა ლინგვისტური ქართველოლოგიის სფეროში ახალი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში.
- IV. ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონემატური და გრამატიკული სტრუქტურების ანალიზი ქართული ენის ტექნოლოგიების მიზნის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით კვლევის წარმოება.
- V. თეორიული ენათმეცნიერების პრობლემების, სოციოლინგვიტიკისა და ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით აკადემიური მსჯელობის წარმართვა; საქართველოს მოსახლეობის სოციოლინგვისტური დახასიათება; ენობრივი სტრატეგების, საქართველოს მოსახლეობის ენობრივი კომპეტენციისა და ენობრივი ორიენტაციის კვლევა;
- VI. ქართული სამწიგნობრო ენის განვითარების ისტორიულ დინამიკის ამსახველი და სხვა პალეოკავკასიური ენების მონაცემების გათვალისწინებით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

3. შეფასების სისტემა

სტუდენტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ დავალებებს, ამზადებს პრეზენტაციას, მონაწილეობს დისკუსიებში და ერთვება ყველა სხვა აქტივობაში, რაც აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად.

100 ქულის განაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილზე. ამასთან, გამოკითხვის სახე, სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

100 ქულა					
შუალედური შეფასება - 60 ქულა			დასკვნითი შეფასება - 40 ქულა		
შეფასების კომპონენტები	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შეფასების კომპონენტი	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
ყოველკვირეული/სასემინარო შეფასებები	20	8	დასკვნითი წერითი გამოცდა	40	21
პრეზენტაცია	10	4			
შუალედური გამოცდა	30	8			

ყოველ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

შეფასების სისტემა, პროგრამის ყოველი კომპონენტისათვის ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

4. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, განათლებისა და სოციალური მეცნიერებების, ასევე, მიმართულებათაშორისი დარგების მიმართულებით;

- საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;

- **უცხო ენის** (ინგლისურ, გერმანული, ფრანგული, რუსული) **ცოდნა B2 დონეზე**. უცხო ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ენის დონის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატს ან რომელსაც უცხოენოვან პროგრამაზე მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც დასტურდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, დაიშვებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, შესაძლებელია, შიდა მობილობის წესით ჩარიცხვა. ვადები, პროცედურები და შესაბამისი, დამატებითი საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის აქტით და შიდა მობილობის პროცედურების დაწყებამდე გონივრული ვადით ადრე ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, ასევე, შესაძლებელია, უნივერსიტეტის სასწავლო

პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:
www.sangu.edu.ge.

- **გამოცდა სპეციალობაში.**

თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც აქვს მეტი სამეცნიერო თუ საექსპედიციო აქტივობა (სამეცნიერო პუბლიკაცია, საველე სამეცნიერო ექსპედიცია).

5. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

სწავლების შედეგების მისაღწევად გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის განმახორციელებელი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თავად განსაზღვრავს შესაბამისი სასწავლო კურსის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ მეთოდებს და აქტივობებს.